პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 251 (4245)

1970 წ. 24 დეკემბერი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ა. მეტრეველი — კვლავ საუკეთესო

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ დაამტკიცა უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები 1970 წლის სეზონის მიხედვით. აი, ვინ მოხვდა საუკეთესოთა შორის:

**ვაჟები.** 1. ა. მეტრეველი (თბილისის „დინამო"), 2. თ. ლეიუსი (ტალინის „დინამო"), 3. ს. ლიხაჩოვი (ბაქოს „ნევთჩი"), 4. ა. ვოლკოვი (ცსკა), 5. პ. ლამპი (ტალინის „დინამო"), 6. ვ. ეგოროვი, 7. ვ. კოროტკოვი, 8. შ. ტარპიშჩევი (სამივე — ცსკა), 9. ვ. პესჩანკო (სოჭის „დინამო"), 10. ჰ. სეპი (რიგის ასკ).

**ქალები.** 1. ო. მოროზოვა (ცსკა), 2. ზ. იანსონე (რიგის ასკ), 3. ა. ერემეევა (ლენინგრადის „დინამო"), 4. ა. ივანოვა (თბილისის „განთიადი"), 5. მ. სობოლი (ტალინის „კალევი"), 6. ტ. ტარანოვა (კიევის „დინამო"), 7. ე. იზოპაიტისი (მოსკოვის „სპარტაკი"), 8. ტ. პარმასი (ტალინის „დინამო"), 9. რ. ისლანოვა (მოსკოვის „სპარტაკი"), 10. ნ. თუხარელი (თბილისის „დინამო").

შარშანდელთან შედარებით სიები მნიშვნელოვნად შეცვლილია. 20 უძლიერესს შორის 5 ახალი გვარია—ლამპი, ტარპიშჩევი, სეპი, ტარანოვა, თუხარელი.

შრომისმოყვარე და შეუპოვარმა ჩოგბურთელმა, 22 წლის ტარპიშჩევმა გდრ-ის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, ხოლო მისი თანატოლი სეპი რამდენიმე ტურნირში საკმაოდ მაღალ ადგილზე გავიდა. ორივე ჩოგბურთელი თანამედროვე შემტევი სტილის მიმდევარია. ქალთა შორის უნდა გამოვყოთ თუხარელი, რომელიც წლის დასაწყისში წარმატებით გამოვიდა ინდოეთს გამართულ ტურნირებში და საკავშირო შეჯიბრებებში.

აღვნიშნავთ ყველაზე თვალსაჩინო გადაადგილებებს: ვაჟთა შორის მეშვიდედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა ლიხაჩოვმა, ხოლო კოროტკოვი მეთხუთმეტედან მეშვიდე ადგილზე გადავიდა. ქალთა შორის მეცხრე ადგილიდან მეორეზე გადავიდა 19 წლის იანსონე, რომელმაც დიდი ხნის შესვენების შემდეგ წარმატებით ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატში, ხოლო სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონმა პარმასმა მრავალ შეჯიბრებაში წარუმატებლობის გამო მეორე ადგილიდან მერვეზე გადაინაცვლა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მეტრეველი.



ა. საკოვის ფოტო.

# რესპუბლიკებს შორის პირველი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, რიბინსკში დამთავრდა უძლიერეს ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი, რომელმაც გამოავლინა ოლიმპიური ნაკრების საყრდენ პუნქტებს შორის უძლიერესი კოლექტივი. ტურნირმა, ამავე დროს, შეამოწმა რესპუბლიკებში ძიუდოისტთა მომზადების მდგომარეობა, მათი პერსპექტივები, შეაჯამა საყრდენი პუნქტების მუშაობა.

სანამ შეჯიბრების შედეგებზე დაწვრილებით ვისაუბრებთ, ორიოდე სიტყვით მინდა გაგაცნოთ ამ იაპონური ჭიდაობის ნიუანსები. ძიუდოში 5 წონითი კატეგორიაა: მჩატე (63 კილოგრამამდე), მსუბუქი (70 კგ-მდე), საშუალო (80 კგ-მდე), ქვემძიმე (93 კგ-მდე) და მძიმე (93 კგ-ს ზევით). არის კიდევ აბსოლუტური კატეგორია, რომელშიც ყველას შეუძლია მონაწილეობა. ყოველ წონით კატეგორიაში უძლიერესის გამოვლენას ერთი დღე სჭირდება. ამიტომ, ხშირად, მოჭიდავეებს ერთბაშად 6-7 შეხვედრის ჩატარება უხდებათ.

საშუალოწონოსან ძიუდოისტთა შეჯიბრების ფინალში თბილისელმა გ. გოგოლაურმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ნ. ფიოდოროვი და I ადგილი გაინაღდა. ასეთივე წარმატება ხვდა წილად ქვემძიმე წონის გორელ ათლეტს შ. ჩოჩიშვილს, რომელმაც ფინალში დაამარცხა კიეველი რუხლიადევი.

მჩატეწონოსანთა ნახევარფინალში დამარცხდა გორელი ჯ. ხორბალაძე — უკრაინელმა დ. მელნიჩენკომ მოუგო. ჩვენი მოჭიდავე III ადგილზე დარჩა.

ასეთივე შედეგს მიაღწიეს გორელმა ს. ქარელმა (მსუბუქი წონა) და თბილისელმა რ. ხარშილაძემ (საშუალო).

მძიმე წონის ფინალში თბილისელმა რ. ოდიშელიძემ წააგო სსრ კავშირის ჩემპიონთან, მოსკოველ ვ. კუზნეცოვთან და საბოლოოდ II ადგილზე აღმოჩნდა.

ასპარეზობის ბოლო დღეს მოეწყო აბსოლუტური პირველობა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ გორელი გ. თანდელოვი გამოდიოდა. მან III საპრიზო ადგილი დაიკავა.

გუნდური ადგილები ქალაქებს შორის ასე განაწილდა: 1. კიევი, 2. გორი (მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი), 3. თბილისი (მწვრთნელი ზ. მაზიაშვილი). რესპუბლიკებს შორის პირველობა დიდი უპირატესობით მოიგეს საქართველოს ძიუდოისტებმა.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სიაში ბევრი ქართველი ათლეტი მოხვდა: გ. ონიაშვილი, შ. ფიცხელაური, ა. მარტყოფლიშვილი (ისინი ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ), ს. ქარელი, ჯ. ხორბალაძე, რ. ოდიშელიძე, რ. ხარშილაძე, რ. მალალთაძე, შ. ჩოჩიშვილი, გ. გოგოლაური, გ. თანდელოვი და ა. მუზაევი.

**ქ. ნინიაშვილი,**
საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი სამბოში, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# საგზურები განაწილდა

ამას წინათ თბილისში ჩატარდა ჭაბუკ კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც, ამავე დროს, საკავშირო შეჯიბრების საგზურებს იძლეოდა. ასეთი სახის შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხანია არ ჩატარებულა და ამიტომ მან სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის გუნდებმა. გოგონათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს თბილისის განათლების განყოფილების კალათბურთელებმა (მწვრთნელი გ. ბაბახანიდი). მათ პრინციპული შეხვედრა ჰქონდათ თბილისის დინამოელებთან (მწვრთნელი ა. კაზანჯიანი). საინტერესო მატჩი მოიგეს განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა — 65:58. ამ ორმა კოლექტივმა საკავშირო ჩემპიონატის საგზურები მიიღო.

ჭაბუკთა შორის პირველობის ბედი სამ კოლექტივს — თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის, სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლისა და თბილისის „დინამოს" შორის გადაწყდა. მეტოქეებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით I ადგილი წილად ხვდა „დინამოს" (მწვრთნელი ლ. ინწკირველი), II ადგილზე გავიდა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის გუნდი (მწვრთნელი გ. ზახლიანი), ხოლო III — სოხუმელთა კოლექტივი (მწვრთნელი ა. სედოვი).

**გ. ჩახავა.**

# რეკორდით დაიწყეს

ძალოსნობის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ის ფარსი, რომელიც სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ზოგიერთმა საქმოსანმა გაითამაშა მსოფლიო პირველობაზე ამერიკის ქალაქ კოლუმბუსში. მაშინ პირველ ოთხ წონით კატეგორიაში ამ საქმოსანთა ენერგიული მაქინაციების წყალობით შედეგები გააუქმეს, რაც ძირითადად გამიზნული იყო სოციალისტური ბანაკის ძალოსანთა წინააღმდეგ. კოლუმბუსში ამ წონითი კატეგორიების ძალოსნებმა ვერაფრით გაგვახარეს, მაგრამ დნეპროპეტროვსკში მანქანათმშენებელთა კულტურის სასახლის ფიცარნაგზე დაწყებულმა დავამ სსრ კავშირის თასზე უკვე პირველივე წონაში — უმჩატესში, მსოფლიო რეკორდი შვა: ლვოველმა ჟურნალისტმა ა. გნატოვმა აჭიმვაში დამატებით ცდაზე 114 კგ დაძლია, რითაც საკუთარი რეკორდი 4 კგ-ით გააუმჯობესა, ხოლო თანაქალაქელ ვ. კრიშჩიშინის მსოფლიო რეკორდი ნახევარი კგ-ით „დაამძიმა". გნატოვმა სამჭიდში 317,5 კგ დააგროვა, რითაც ოქროს მცირე მედალი მოიხვეჭა. მას პირველმა მიულოცა ევროპის ჩემპიონმა კრიშჩიშინმა, რომელიც ავადმყოფობის გამო ფიცარნაგზე ვერ გამოვიდა. II ადგილზე გავიდა 24 წლის რ. ხანოვი, რომელიც გამარჯვებულს 10 კგ-ით ჩამორჩა. ხანოვი მესამე ცდაზე აკვრაში მსოფლიო რეკორდის (130 კგ) დამყარებას ცდილობდა, ახლოც იყო მიზანთან, მაგრამ ამჯერად მიზანს ვერ მიაღწია. III ადგილზე გავიდა 26 წლის ო. სულიცკი — 302,5 კგ.

საღამოს ფიცარნაგზე გამოვიდნენ მჩატე წონის ძალოსნები. აქ უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. კუზინი, რომელმაც 345 კგ დააგროვა. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი გ. ჩეტინი, რომელიც გამარჯვებულს 5 კგ-ით ჩამორჩა.

# დიდოსტატების რიგზეა

**რიგა, 23 დეკემბერი.** სსრ კავშირის ვაჟთა 38-ე საჭადრაკო ჩემპიონატში 18 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ორი შეხვედრა დაამთავრა ერევნელმა ოსტატმა რ. ვაგანიანმა. მან სძლია ვ. მიკენასს (ვილნიუსი) და დამარცხდა ა. კარპოვთან (ლენინგრადი).

ორი პარტია ითამაშა მოსკოვის ჩემპიონმა ი. ბალაშოვმაც. მან მოუგო ვ. კარასიოვს (ლენინგრადი) და ყაიმზე შეუთანხმდა ვ. ლიბერზონს (მოსკოვი).

კვლავ ისახელა თავი ახალგაზრდა კალინინგრადელმა მოჭადრაკემ ო. დემენტიევმა, რომელმაც მეოთხე დიდოსტატი იმსხვერპლა. ამჯერად მან რ. ხოლმოვს მოუგო. მანამდე კი დაამარცხა კარპოვი, ი. ავერბახი და ი. პლატონოვი.

ვ. კორჩნოიმ (ლენინგრადი) მოუგო ო. მოისეევს (მოსკოვი), ხოლო ვ. სავონმა (ხარკოვი) — ი. პლატონოვს (კიევი). ყაიმით დასრულდა ლ. შტეინ (კიევი) — ი. ზაიცევის (მოსკოვი) შეხვედრა.

ამრიგად, 18 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: კორჩნოი — 13,5 ქულა, ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — 12,5, შტეინი — 11,5, ბალაშოვი — 11, ა. გიპსლისი (რიგა) და მ. პოდგაეცი (ოდესა) — 10,5-10,5.

დღეს ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებენ. ხვალ შედგება XIX ტური.

# ბაქოელი დიდოსტატი — ჩემპიონი

ლიეპაია, 23 დეკემბერი. ლატვიის ამ ქალაქში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი რუსულ შაშში. უკანასკნელ ტურში ბაქოელმა დიდოსტატმა ი. არუსტამოვმა დაამარცხა მოსკოველი ი. კირილოვი, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გამხდარიყო — 11 ქულა. ვერცხლის მედალი მოიპოვა ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 18 წლის რიგელმა ვ. ბიგმანმა — 10,5. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა დიდოსტატი ვ. გაბრიელიანი (ბაქო) — 10 ქულა.

შაში

# ახალი ამბები

● **ლენინგრადი,** 22 დეკემბერი. ევროპული ლიგის პირველობაზე გამართულ მატჩში საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელებმა ძნელი გამარჯვება იზეიმეს ინგლისის ნაკრებთან — 4:3 (გუნდურ შეჯიბრებაში შედიოდა ერთეულთა ხუთი და წყვილთა ორი შეხვედრა).

● **მელბურნი,** 22 დეკემბერი. ავსტრალიელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში ქვეყნის რეკორდსმენმა ფ. მეიმ, რომელმაც სამხტომში ავსტრალიის ახალი რეკორდი დაამყარა — 16,86 მ. ეს მაჩვენებელი წლეულს მეოთხე შედეგია მსოფლიოში.

● **ხართუმი,** 22 დეკემბერი. ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფეხბურთელებმა პირველი მატჩი ჩაატარეს სუდანში და ფრედ ითამაშეს ამ ქვეყნის ჩემპიონთან — „ხილალთან" — 0:0. ახლა „ზარია" ორჯერ შეხვდება აფრიკის ჩემპიონს — სუდანის ნაკრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურის კოლექტივებში

# კარგი ბაზა — წარმატების საწინდარი



ცნობილია, სადაც კარგი ბაზებია, იქ კარგი სპორტსმენებიც არიან. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტზე. ამ უმაღლეს სასწავლებელში ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ სტუდენტები სოფლის მეურნეობაშიც გაიწაფონ და სპორტშიც დაოსტატდნენ.

ვესტუმროთ ინსტიტუტის სპორტულ ბაზებს, გავეცნოთ აქ გაჩაღებული სპორტული მუშაობის შედეგებს.

აი, თანამედროვე სტილით, ფაქიზი გემოვნებით აგებული სადემონსტრაციო დარბაზი, რომელსაც აქვს მოედანი (20×40 მ) და 1200-ადგილიანი ტრიბუნები. უკეთ განათების მიზნით დარბაზის ერთი გრძივი კედელი მთლიანად შემინულია. აქ უმთავრესად ტარდება შეჯიბრებები ფრენბურთში, ხელბურთსა და კალათბურთში. საინტერესოა, რომ საჭიროების მიხედვით შეიძლება კალათბურთის ფარების ავტომატურად აწევ-დაწევა.

თავიანთი დარბაზები აქვთ მოჭიდავეებს, ტანმოვარჯიშეებს, ძალოსნებსა და მოჭადრაკეებს. ყველა დარბაზში საჭიროების მიხედვით ცხელი ან ცივი კონდენსირებული ჰაერის მიწოდება ხდება. პირველ სართულზე მოწყობილია გასახდელები და საშხაპეები, სადაც მუდამაა ცხელი წყალი.

ღია ცის ქვეშ მოწყობილია ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის ორ-ორი და ერთი კომბინირებული მოედანი ბიტუმის საფარით. ბიტუმითაა დაფარული აგრეთვე სარბენი ბილიკები ფეხბურთის მინდვრის ირგვლივ.

ამ ბაზებზე სტუდენტები სპორტის ყველა სახეობაში მეცადინეობენ. მუშაობენ გამაჯანსაღებელი ჯგუფებიც, სადაც ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებიც არიან გაერთიანებულნი. ახლახან დამთავრდა 50-მეტრიანი ტირის მშენებლობა.

სტუდენტი-სპორტსმენები ამართლებენ ზრუნვას. მაგალითად, სოფლის სპორტსმენთა თამაშებში კალათბურთელმა ქალებმა მეხუთედ მოიპოვეს ჩემპიონობა, ვაჟებმა II ადგილი დაიკავეს, ხელბურთში კი ჩემპიონებიც გახდნენ. ფრენბურთელმა ვაჟებმა მეშვიდედ დაისაკუთრეს პირველობა, ხოლო მძლეოსნები გუნდურ ჩათვლაში III ადგილზე გავიდნენ. კომპლექსურ ჩათვლაში ამ ინსტიტუტის სპორტსმენებმა I ადგილი დაიკავეს 98 სასწავლებელს შორის. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა.

ბევრი სტუდენტი-სპორტსმენი აქტიურად და წარმატებით მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო თუ მსოფლიო შეჯიბრებებში. ყველა გამარჯვებულის დასახელება შორს წაგვიყვანს, ზოგიერთ მათგანს კი გაგაცნობთ: კალათბურთელები გ. უვრეხელიძე, ლ. მოსეშვილი, მ. ქორქია და ახალგაზრდა ნ. ჭეიშვილი, რომლებიც თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრები არიან, ველოსიპედისტი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის ოსტატი ო. ფხაკაძე, საქართველოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ოსტატი ც. კობაიძე, საქართველოსა და სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ჩემპიონები ც. ჩოლიაშვილი (სიგრძეზე ხტომა), ც. ლიპარტელიანი (შუბის ტყორცნა), ლ. გუგეშაშვილი (ათჭიდი), ც. ჯაფარიძე (ბადროს ტყორცნა), ცნობილი ქართველი ფალავნები, საერთაშორისო კლასის მოჭიდავეები ბ. ონაშვილი და ფ. მარტყოფლიშვილი.

ინსტიტუტის სპორტსმენები რესპუბლიკურ ჩემპიონატებშიც წარმატებით მონაწილეობენ. მაგალითად, ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი საქართველოს ჩემპიონია, რ. ჯიოშვილმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ძალოსნებიდან პირველმა მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი.

სისტემატურად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებიც. ამასწინათ გაიმართა პირველკურსელთა ტრადიციული სპარტაკიადა სპორტის სამ სახეობაში (კალათბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში). პირველად აიღო სტარტი გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის მ. მესხის სახელობის პრიზის გათამაშებამ ფეხბურთში, რომელშიც ყველა ფაკულტეტი ჩაება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შემოღობოს სტადიონი, აგოს 10 000-ადგილიანი ტრიბუნები, 100-მეტრიანი ტირი.

აიგება აგრეთვე, საცურაო აუზი. ინსტიტუტის სპორტსმენთა საერთო საცხოვრებელს ბაკურიანში კიდევ ერთი (30-40 ადგილიანი) შენობა შეემატება.

**რ. საბინაშვილი.**

სურათებზე: ინსტიტუტისა და მისი სპორტული კომპლექსის საერთო ხედი. პირველკურსელთა ტრადიციული სპარტაკიადის შეჯიბრების მომენტები კალათბურთსა და ფრენბურთში.

ავტორის ფოტო.





## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### სპარტაკიადა ტრაულერზე

როცა ტრაულერი „ალკკ 50 წელი" ბოლო რეისზე გავიდა და სპორტული მუშაობის ხელმძღვანელის არჩევა დააპირეს, კომკავშირელებმა ერთხმად დაასახელეს მ. ხალიდოვი.

პირველივე დღეებმა დაადასტურა, რომ არჩევანი სწორი იყო. ხალიდოვმა ჯერ კიდევ არმიაში სამსახურის დროს შეიძინა ფიზკულტურული მუშაობის გამოცდილება, თანრიგები მიიღო ძალოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში. გემზე მან კარგ სპორტსმენებსაც მიაგნო. მაგალითად, მემანქანე ო. მანოხამ ყველასთვის მოულოდნელად 100 კგ-მდე წონის შტანგა ასწია. მერე აღმოჩნდა, რომ იგი ტანმოვარჯიშეც იყო. გემზე კარგი ფრენბურთელებიც ყოფილან. მაგალითად, ნ. ბარტინოვი. შესანიშნავი მოჭადრაკეა ა. პერბენცევი. ენთუზიასტებმა სხვების სპორტულ წვრთნასაც მოჰკიდეს ხელი და მალე შეჯიბრებები ტრაულერზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ახალგაზრდა მეთევზეებმა თვითონ მოაწყვეს ადგილი შეჯიბრებისა და საწვრთნელი მეცადინეობებისთვის. ხშირად ქარიშხალი უშლიდათ ხელს, მძიმე მუშაობის დროს მუდამ როდი ჰქონდათ ვარჯიშის საშუალება. მაგრამ სპორტსმენთა რიცხვი მაინც თანდათან იზრდება. რეისი 345 დღე-ღამეს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე თითქმის ყველა მეზღვაურმა სცადა ძალა ორ-სამ სახეობაში და კარგი მომზადებაც მიიღო. შემთხვევითი როდია, რომ ეკიპაჟი მუშაობაშიც სანიმუშო აღმოჩნდა. ლენინის საიუბილეო წელიწადს მხარის ახალგაზრდობას შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრაულერმა ერთი რეისის განმავლობაში 100 ათასი ცენტნერი თევზი მოიპოვა. მიუხედავად ზღვაში ამინდების ხშირი ცვლისა, გემზე ავად არავინ გამხდარა — ესეც სპორტში მეცადინეობის შედეგი იყო.

სპორტული ოსტატობის თავისებური დათვალიერება იყო გემის სპარტაკიადა, რომელიც მშობლიურ ნახოდკის ნავსადგურში შესვლამდე მოეწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თითქმის მთელი ეკიპაჟი — 90-მდე კაცი. კაპიტანი, ჭადრაკის დიდი მოყვარული ი. ლვოვიც კი ჩაება სპორტულ ბრძოლაში.

**ა. პაპეტა.**

ნახოდკა.

### მოტოციკლისტი მოსწავლეები

ტალინის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მახლობლად პატარა მოედანზე ხშირად გაისმის ძრავების გუგუნი. სარბიელზე დაქრიან ნორჩი მოტომრბოლელები. აი, ერთ-ერთი მათგანი ჩაფხუტს იხდის და ...მხრებზე წყვილი ნაწნავი ეცემა. ეს თავზეხელაღებული მრბოლელი 24-ე სკოლის მოსწავლე ევე კოხა ყოფილა. პიონერთა სასახლის მოტომოყვარულთა კლუბში 60 მრბოლელია და მათ შორის რამდენიმე გოგონაა.

ისინი სულ სხვადასხვა გზით მოვიდნენ კლუბში. ევეს მამა ოლევ კოხა, მაგალითად, მთელს რესპუბლიკაში ცნობილი მსაჯია ამ სახეობაში. მას ხშირად დაჰყავდა ქალიშვილი შეჯიბრებებზე და ბოლოს და ბოლოს შეაყვარა კიდეც მოტოსპორტი. ეს კლუბი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს როგორც ქალაქის, ისე გარეუბნის მოსწავლეთა შორის. 13 წლის მ. მერეკიული კვირაში სამჯერ ჩამოდის სამეცადინოდ ტალინს 20 კილომეტრით დაშორებული სოფლიდან.

კლუბში ბავშვები სწავლობენ მანქანის აგებულებას, ქუჩაში მოძრაობისა და შეჯიბრებების წესებს. მათ მხოლოდ ამის შემდეგ აძლევენ რბოლაში ჩაბმის უფლებას (ოღონდ აუცილებელია, რომ კლუბის წევრი სკოლაშიც კარგად სწავლობდეს). მათს განკარგულებაშია სასწავლო კლასები, სახელოსნოები...

— ჩვენს კლუბში ბავშვები ეჩვევიან სწრაფ რეაქციას და ტექნიკურ ცოდნას იძენენ, — გვიამბობს მოტოკლუბის მწვრთნელი ვ. ხელმი. — რაც მთავარია, ისინი აქ შრომის სიყვარულს სწავლობენ. უკვე დღეს ბევრი ჩვენი კლუბის წევრი ოცნებობს ისწავლოს ავტოტრანსპორტის ფაკულტეტზე ან განყოფილებაზე. დამახასიათებელი დეტალია, რომ კლუბში მეცადინეობის შემდეგ საგრძნობლად მაღლდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაც.

ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენია 39-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე ვ. იარველი. იგი სულ ექვსი თვეა კლუბში მეცადინეობს, მაგრამ უკვე V ადგილი დაიკავა ბავშვთა სპორტული სკოლების საკავშირო ასპარეზობაში და ჭაბუკთა I თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. წარმატება იოლად არ მოსვლია. 15 წლის სპორტსმენი ყოველ საღამოს სახელოსნოში მუშაობდა, მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩვეულებრივი მოპედი სპორტული კროსის მანქანად გადააკეთა.

...ბავშვებს უყვართ სახელოსნოში თავიანთ მანქანებთან თავის მოყრა. მწვრთნელი მათ უამბობს თავის სპორტულ ცხოვრებაზე, უზიარებს გამოცდილებას. სიმბოლურია, რომ იქვე კიდია მათი ხელმძღვანელის — სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონის ვ. ხელმის დაფნის გვირგვინები.

**ვ. იასტრებოვი.**

ტალინი.

## უჩვეულო შეჯიბრება

ამ შემოდგომით ზუგდიდის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში ჩატარდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს შედარებით სუსტი აგებულების აღსაზრდელებმა. ყოველივე ამან ახალი საზრუნავი გაუჩინა სკოლა-ინტერნატის დირექციას და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს, რომლებმაც გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ „უჩვეულო შეჯიბრება": პირველად მოეწყოთ შიდასაკოლექტივო ტურნირი მოძრავ თამაშებში.

შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი იყო შემდეგი თამაშები: „ამანათრბენი ხელყუმბარებით", „წინაღობათა გადალახვა", „რბენა ტომრებით", „რკალბურთი", „ლახტი" და სხვ.

ახალმა ღონისძიებამ ჩვენი სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

**ა. ბაკურაძე.**

ზუგდიდის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## სპორტული მურჯაკანი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირველობა ფეხბურთში „მოსავლის ალების თასზე". I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ვაზისუბნის კოლმეურნეობის გუნდმა.

* * *

ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. გურჯაანის ახალგაზრდულმა ნაკრებმა შინ მიიღო თელავის „კახეთი". საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

* * *

ჩატარდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში „კონსტიტუციის სახელობის თასზე". პროგრამაში იყო 100, 200 და 400 მეტრზე რბენა, ბირთვის კვრა, ყუმბარის ტყორცნა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა. გუნდური I ადგილი და თასი მოიპოვა გურჯაანის სკოლა-ინტერნატის გუნდმა. II ადგილზეა არაშენდის საშუალო სკოლა, III — ჩუმლაყის საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**ი. ოდიშელიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მოგვიტანა განვლილმა სეზონმა

1970 ფეხბურთი

1970 წელი მსოფლიო ჩემპიონატის წელია. ყველაფერი, რაც თანამედროვე ფეხბურთში ხდება: სიახლეთა ძიებანი, ახალი ტაქტიკური აღმოჩენები, მანამდე უცნობი ტალანტების დაწინაურება, სხვადასხვა ხასიათის ექსპერიმენტები, ჩამორჩენილი გუნდების პროგრესი და ა. შ., ზუსტი ციკლიურობით, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ თავს იყრის ერთად, ერთ ადგილას — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

საქმე მხოლოდ ის არაა, რომ ხდება მეტად საინტერესო და საყურადღებო ამბავი — მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენა. ეს თავისთავად. მთავარია, რომ ანალიზი უკეთდება იმას, თუ რა მოხდა ფეხბურთში განვლილი ოთხი წლის მანძილზე, განვითარების რა გზით მიდის იგი, ვინაა მოწინავე, ვინ წარმოადგენს მისაბაძ ეტალონს ამ ეტაპზე, რა შექმნეს ახალი მათ, ვინც სათავეში უდგას თანამედროვე ფეხბურთს. ჩემპიონად შემთხვევით არავინ გამხდარა, ამიტომ ის, ვინც ამ უმაღლეს ტიტულს იგებს, ყოველთვის წარმოადგენს ყოველმხრივი შესწავლისა და ანალიზის ობიექტს. გაიხსენეთ, თუნდაც, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატები: 1958 წელს ბრაზილიელებმა საფეხბურთო სამყაროს ახალი სისტემა აჩუქეს, შემდგომში, 1962 წლის ჩემპიონატში, მთელი მსოფლიო უკვე ახალი, ე. წ. ბრაზილიური სისტემით თამაშობდა და მის ავტორებს გაცილებით უფრო გაუჭირდათ თასის შენარჩუნება, ვიდრე მისი მოპოვება. 1966 წელს ინგლისში ფასეულობათა გარკვეული გადაფასება მოხდა, ახალმა ჩემპიონებმა — ინგლისელებმა ახალი სიტყვა თქვეს, თავისებურად განალაგეს მოთამაშეები მინდორზე და არნახული დატვირთვით აამოქმედეს ისინი.

წლეულს ბრაზილიელებმა დაიბრუნეს დაკარგული ტიტული და ნამდვილი საჩემპიონო თამაშის დემონსტრაცია მოახდინეს. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად ნახეს, თუ რას წარმოადგენდა ეს გუნდი, სადაც უმაღლესი კლასის მოთამაშეებს დეტალურად შემუშავებული გეგმა აქვთ, შეუცდომლად ესმით ერთმანეთისა, იბრძვიან ძალების დაუზოგავად, მაქსიმალური ენერგიით, ნებისყოფის უდიდესი სიმტკიცით და ყოველთვის შეუძლიათ კიდევ უფრო გააძლიერონ თამაში.

ბრაზილიელებს უმაღლეს დონემდე აქვთ აყვანილი და ერთ მთლიანობაში კონცენტრირებული თანამედროვე ფეხბურთის უმთავრესი ელემენტები: ტექნიკა, ტაქტიკა, ფიზიკური მომზადება და სანებისყოფო თვისებები. ბრაზილიელთა ნაკრები ადრეც ყოველთვის ძლიერი იყო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობას მიაღწია მხოლოდ 1958 წელს, როცა განთქმულმა მწვრთნელმა ვ. ფეოლამ თავის პირველხარისხოვან მოთამაშეებს საფუძვლიანად შეასწავლა კოლექტივიზმის პრინციპები და ძალების სრული დაძაბვით ბრძოლა 90 წუთის მანძილზე. გაიხსენეთ, თუნდაც, მექსიკის სტადიონებზე ჩატარებული თამაშები. ბრაზილიელები არ სჯერდებიან მარტო იმას, რომ სხვებზე ძლიერები არიან ტექნიკით, ბურთის ფლობის ვირტუოზობით, საერთო კლასით. თითოეული მათგანი, ამას გარდა, მთელ თავის შესაძლებლობას აქსოვს თამაშში. მაშინაც კი, როცა მატჩის დასასრულს წუთები აკლია და მათი გამარჯვების შესახებ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, ყოველი ფეხბურთელი თამაშობს ისე, რომ ღირსეულად მიიყვანოს მატჩი ბოლომდე. გაჩერებულ მოთამაშეს ამ გუნდში ვერ ნახავთ.

მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების განხილვა არ შეადგენს ჩვენი წერილის საგანს, მაგრამ გაოცებას იწვევს ის, რომ ამ ყველაზე დიდი და სერიოზული შეჯიბრების საფუძვლიან, საქმიან ანალიზს თავს არიდებენ ისინი, ვინც უშუალოდ ესწრებოდა თამაშებს მექსიკაში და ამდენად პირდაპირ ვალდებულია ეს გააკეთოს. თავი რომ დავანებოთ საგაზეთო წერილებს, რას უნახავენ იმ უმდიდრეს მასალას, რომელიც ტელევიზიით ვნახეთ? მსოფლიო ჩემპიონატის ფირი თვალსაჩინოების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც კარგა ხნის წინათ უნდა დაემუშავებინათ, დაემონტაჟებინათ ისე, რომ სანახაობითის გარდა, მიეცათ სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოს ხასიათი. პელეს, ბეკენბაუერისა თუ ჟაირზინიოს მიერ შესრულებული ტექნიკური ელემენტები ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა ნახონ არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მრავალჯერ, ნახონ შენელებული გადაღებით, სხვადასხვა წერტილიდან. საჭიროა ტაქტიკური კომბინაციების მრავალგზისი განმეორებით ნახვა და შესწავლა, ფირს თან უნდა სდევდეს კვალიფიციური ტექსტი, სათანადო ახსნა-განმარტება.

დასამალი ხომ არაა, რომ მაშინ, მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის დღეებში, ჩვენ მაყურებლები ვიყავით, მინდორზე წარმოებულ ბრძოლას გარკვეული ემოციური თვალსაზრისით ვუყურებდით და უმთავრესად ის გვაინტერესებდა, თუ ვინ ვის მოუგებდა და როგორ. ახლა იგივე ფირი გვჭირდება სასწავლო თვალსაზრისით, ასათვისებლად. იგი უნდა ვაჩვენოთ ბავშვებს, ნორჩ ფეხბურთელებს, როგორც სასწავლო მასალა გამოვიტანოთ დღის სინათლეზე, გამოვიყენოთ ყოველმხრივ.

ან რატომ არა გვაქვს მსოფლიო ჩემპიონატის ამსახველი კინოფილმები, იქნება ეს ჩვენი გადაღებული, თუ შესყიდული? მათ ხომ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ნორჩ ფეხბურთელთა მზადების პროცესში!

სსრ კავშირის ნაკრების გამოსვლა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში აშკარა ჩავარდნით დამთავრდა. ეს ფაქტი ჩვენს პრესაში პირდაპირ და დაუფარავად იქნა აღნიშნული. გადაჭარბებული ილუზიები არავის შეუქმნია იმის თაობაზე, რომ გუნდმა დაიკავა საკმაოდ მაღალი, V ადგილი, ამასთან გაასწრო ადრინდელ ჩემპიონებს — ინგლისელებს და ამიტომ ჩვენს ფეხბურთში ყველაფერი რიგზეა. V ადგილი ასეთი ძლიერი შემადგენლობის ტურნირში ხუმრობა საქმე არაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია არა ეს ადგილი, ან უფრო სწორად, გათამაშების ფორმალური შედეგი, არამედ ის, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი გუნდი მექსიკაში, რა შთაბეჭდილება მოახდინეს იქ საბჭოთა ფეხბურთელებმა.

ვიმეორებთ: ჩავარდნა აშკარაა და მას მთელი რიგი გამომწვევი მიზეზები აქვს. ერთ-ერთი მათგანი და მთავარი ისაა, რომ ჩვენ ამჟამად არა გვყავს ექსტრა-კლასის, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი, უმაღლესი დონის მოთამაშეები, ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი საშემსრულებლო ოსტატობით მკვეთრად გამოირჩევიან საერთო ფონზე და უნარი შესწევთ გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ თამაშის მსვლელობაზე, მის საბოლოო შედეგზე. ვინ შეიძლება გამოვყოთ ამ მიმართებით ჩვენი „მექსიკელებიდან“? მხოლოდ შესტერნიოვი და ნაწილობრივ — კავაზაშვილი. ესაა და ეს. სხვებს ჩვენ ვერ ვხედავთ და განა შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის უმძიმესი ტვირთი მხოლოდ ორ მოთამაშეს დააწვეს? რა თქმა უნდა არა, თანაც, არც ეს მოთამაშეები არიან ისეთი კლასისა, რომ ფურორი მოახდინონ მსოფლიო ჩემპიონატში.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ადრე მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა გუნდში გაცილებით უფრო მეტი გვყავდა ექსტრა-კლასის ფეხბურთელი და, ცხადია, თვით გუნდიც უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა. ჩამოვთვლით რამდენიმე გვარს: იაშინი, სიმონიანი, სალნიკოვი, ნეტო, ვოინოვი, ვორონინი, ივანოვი, ჩოხელი, მესხი, მეტრეველი. შეადარეთ ისინი ახლანდელი ნაკრების წევრებს, ობიექტურად შეაფასეთ მათი ძალები და ნათლად დარწმუნდებით, რომ განვიცდით მაღალი კლასის მოთამაშეების სერიოზულ კრიზისს, უამისოდ კი ფიქრიც ზედმეტია რაიმე წარმატების იმედი იქონიო მსოფლიო ჩემპიონატში.

ახლა ასე დავსვათ კითხვა: გვყავდა კი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო ვერ მოხვდა ნაკრებში და დაუმსახურებლად დარჩა შინ? არა გვგონია. ასეთი ფეხბურთელი ჩვენ არა გვყოლია. ვინც კი იყო საუკეთესო, ყველა წაიყვანეს მექსიკაში, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ უძლიერესნი ისინი იყვნენ ჩვენი მასშტაბებით, ჩვენი შესაძლებლობებით, ჩვენს ფონზე, თორემ იქ, მსოფლიო ჩემპიონატში, ნამდვილად მაღალი კლასის მოთამაშეთა წინაშე საბჭოთა ნაკრების წევრები საშუალო დონეს არ ასცილებიან.

ნაკრების მზადების პროცესში, ჩვენი აზრით, დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომა, რომლის გამოც გუნდის ხელმძღვანელობა მოკლებული იყო საშუალებას რეალურად შეეფასებინა საკუთარი ძალა და შესაძლებლობანი. სპარინგ-პარტნიორებად, როგორც წესი, ვირჩევდით სუსტ მეტოქეებს, მეორეხარისხოვან გუნდებს, ამიტომ, ფაქტიურად, არ ვიცოდით რა ძალას, რა სიახლეებს შევეტაკებოდით მექსიკის გადამწყვეტ მატჩებში. ამან ცრუ წარმოდგენა შეგვიქმნა ჩვენს მომავალ მეტოქეებზე და ჩვენს ძალებზეც, ვინაიდან სუსტ მეტოქეებთან საკმაოდ იოლ გამარჯვებებს ვაღწევდით. საბოლოოდ ეს გამოდგა დეზინფორმაცია, რომელმაც დათვური სამსახური გაგვიწია.

საფეხბურთო ცხოვრების პრაქტიკაში კარგადაა ცნობილი, რომ არ შეიძლება ფეხბურთელს ხელდახელოდ, ნაუცბათევად შეუცვალო სათამაშო ამპლუა და დაავალო მისთვის უჩვეულო, ახალი ფუნქციების შესრულება. რა როლსაც იგი ასრულებს თავის კლუბში, რა ადგილზეც თამაშობს საერთოდ, ის უნდა ითამაშოს ნაკრებშიც. მექსიკაში კი მოხდა ისე, რომ ზოგიერთებს დაავალეს მათთვის უჩვეულო მოვალეობათა შესრულება, რამაც მხოლოდ ზიანი მოიტანა (ხურცილავა, ევრიუჟიხინი).

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ მორალურ-სანებისყოფო მონაცემების, საბრძოლო თვისებების დიდ მნიშვნელობაზე, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, გადამწყვეტ მომენტებში სწორედ ეს თვისებები გვღალატობს ხოლმე. გავიხსენოთ საბედისწერო მატჩი ურუგვაის ნაკრებთან. იქ ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი ფეხბურთელების საბრძოლო კონდიციები არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. გუნდი თამაშობდა შიშით, შებორკილად, გაუბედავად, მაშინ, როცა ურუგვაელი 2 ფორვარდის წინაშე საშიში არაფერი გვქონდა.

ოდესღაც საბჭოთა ფეხბურთის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა მოთამაშეთა პირველხარისხოვანი ათლეტური მონაცემები და ფიზიკური მომზადება. ეს ჩვენი კოზირი იყო. IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურმა მატჩებმა კი ცხადყო, რომ ამ მიმართულებით პროგრესი აღარ განგვიცდია, ჩვენმა მეტოქეებმა კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ და უდიდეს ფიზიკურ დატვირთვებსაც კი იოლად იტანენ.

კვლავ ჩამოვრჩებით ტაქტიკური განვითარების საქმეში და, ამას გარდა, ყოველთვის არა ვართ საქმის კურსში, თუ რა ტაქტიკური სიახლეებია უცხოეთში. ჩაგვყავს გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ტურნირში და მხოლოდ იქ, ადგილზე, უკვე გაცხარებულ ბრძოლებში ვიგებთ, რომ თურმე ბრაზილიელებმა გამოიგონეს ახალი სისტემა, შემდეგ ინგლისელებმა შეცვალეს იგი, ახალი ფორმა მისცეს მას, ჩვენ კი მუდმივი მოწაფეების როლში გამოვდივართ, უკვე გამზადებული ტაქტიკური სქემა გადმოგვაქვს მექანიკურად და შემდეგ ასევე მექანიკურად ვნერგავთ კლუბებშიც, ნაკრებშიც. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვ. ფეოლამ და ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ ციდან კი არ ჩამოიღეს ეს სისტემები, არამედ შექმნეს იმ მოთამაშეთა საუკეთესო თვისებების გათვალისწინებით, იმ რესურსების გაანგარიშებით, რომლებიც მათ ჰქონდათ, ჩვენ კი ჯერ სისტემა გადმოვიღეთ და მერე ვეძებდით დიდის, პელესა და გარინჩას ახალი როლების შესასრულებლად. ტაქტიკური ჩანაფიქრის სიმწვავე და ეფექტურობა პირდაპირ და უშუალოდაა დამოკიდებული იმ მოთამაშეთა ძალასა და შესაძლებლობებზე, რომლებიც შენს განკარგულებაშია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმბაძველობით გადმოღებული ტაქტიკა შედეგს ვერ მოიტანს.

ნაკრები ეროვნული ფეხბურთის სარკეა და საკლუბო გუნდებს ეფუძნება. როგორ შეიძლება ნაკრებმა მიაღწიოს დიდ წარმატებებს, თუ მას არა აქვს მტკიცე ბაზა, ე. ი. არ გააჩნია მაღალი კლასის ფეხბურთელები და ძლიერი საკლუბო გუნდები. საერთაშორისო კლასის მოთამაშეები, როგორც ვთქვით, ჩვენ არა გვყავს, ამას გარდა, ვერც პირველხარისხოვანი საკლუბო გუნდებით დავიკვეხნით. ნათქვამის ნათელი ილუსტრაციაა ჩვენი კლუბების მარცხიანი გამოსვლები დიდ ევროპულ ტურნირებში, რასაც უკვე სამწუხარო ტრადიციის სახე მიეცა. უკვე მერამდენე წელია ვმონაწილეობთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებში და რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი შედეგისთვის ჯერ არ მიგვიღწევია (რაღ ღირს, თუნდაც, მოსკოვის „სპარტაკის“ წლევანდელი წაგება შვეიცარიის „ბაზელთან“). ე. ი. ჩვენი საკლუბო გუნდები ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე, ვერ ამარაგებენ ნაკრებს მაღალი კლასის ფეხბურთელებით და ამიტომ მათაც უნდა გაინაწილონ პასუხისმგებლობა სსრ კავშირის ნაკრების მარცხისთვის.

როცა ჩვენი ნაკრები მექსიკაში მიემგზავრებოდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მონაწილეობისათვის, გუნდის ხელმძღვანელობა, მოთამაშეები ერთობ ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებდნენ და დიდ წარმატებასაც გვპირდებოდნენ. „ფუტბოლ-ხოკეი“ მაშინ მოაწყო ინტერვიუ რამდენიმე შეკითხვით და იქ ასეთ პასუხებს ვხვდებით ცალკეულ მოთამაშეთა მხრივ: „რატომ არ უნდა მოვიგოთ მსოფლიო ჩემპიონობა?“, „ჩვენ გვყავს საერთაშორისო კლასის ვარსკვლავები“, „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოური გუნდების უპირატესობაზე ტექნიკაში ჩვენს ნაკრებთან ლაპარაკიც არ შეიძლება“ და ა. შ. როგორც ვხედავთ, ჩვენი ფეხბურთელები საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებით აფასებდნენ. კიდევ მეტიც: როცა გ. სერებრიანიკოვს ჰკითხეს, ვის ისურვებდა მოწინააღმდეგედ მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაშიო, მან უპასუხა: „ურუგვაის. ჩვენ ამ გუნდს კარგად ვიცნობთ, მისი მცველები მჭიდროდ არ თამაშობენ, მათთან ბრძოლა გაგვიადვილდება“. სერებრიანიკოვს ამ მატჩში არ უთამაშია, მაგრამ ალბათ თვითონაც კარგად ხედავდა, როგორ „გაგვიადვილდა“ ურუგვაელთა დაცვამ თამაში...

ერთი სიტყვით, განვლილმა ჩემპიონატმა ნათლად დაგვარწმუნა, რომ მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან შედარებით საგრძნობლად ჩამოვრჩებით ტექნიკაშიც, ტაქტიკურ განვითარებაშიც და საერთო კლასშიც. თუ ამ მდგომარეობას სათანადო ანალიზი არ გაუკეთეთ, თუ არ ვიზრუნეთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისთვის, ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელთაგან უმაღლესი კლასის მოთამაშეთა აღზრდაზე, წინ ვერ წავალთ.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ბ. ქორქია.

(გაგრძელება იქნება)

• • •

სურათზე: მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალური მატჩი ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. იტალიელთა ცენტრალური მცველი სერა (მიწაზე) ცდილობს უვნებელჰყოს თავისი კარი პელეს გარღვევისგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატები

## ზედიზედ მეორე მარცხი

ლენინგრადი. ქალთა ჩემპიონატში გათამაშდა პირველი წრის დასკვნითი ტურის მეორე კალენდარული დღის მატჩები.

ლიდერმა — რიგის ტტტ-მ მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად კიევის „დინამოსთან" — 78:43. ზედიზედ მეორედ დამარცხდა მოსკოვის „დინამო": ახლა მას მოუგო სვერდლოვსკის „ურალმაშმა" — 70:60. აღსანიშნავია, რომ ურალელმა შეეცოვამ თავის კოლექტივს 35 ქულა შესძინა.

მოულოდნელი იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის — მოსკოვის ოლქის „სპარტაკის" წაგება ვილნიუსის „კიბირკშტისთან" — 43:54.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 74:59, „პოლიტექნიკა" (კაუნასი) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 66:59, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 71:57.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ (რიგა) | 7 | 7 | 0 | 7 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 7 | 6 | 1 | 6 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 7 | 6 | 1 | 6 |
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 7 | 4 | 3 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 4 | 3 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 7 | 4 | 3 | 4 |
| „დინამო" (კიევი) | 7 | 3 | 4 | 3 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 7 | 3 | 4 | 3 |
| „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) | 7 | 2 | 5 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 7 | 2 | 5 | 2 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 7 | 1 | 6 | 1 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 7 | 0 | 7 | 0 |




## ორიევჯერ დამატებით დროში

გაიმართა ვაჟთა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

კაუნასი. ადგილობრივი „ჟალგირისისა" და ლენინგრადის „სპარტაკის" ბრძოლის ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა, დამატებით ხუთ წუთში კი სტუმრებმა იმარჯვეს — 73:72.

მოსკოვი. ეს იყო ტურის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია: „დინამომ" შინ ქულა დაუთმო აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს — კიევის არმიელთა გუნდს. გამარჯვებულის გამოსავლენად აქაც საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა — თამაშისთვის განკუთვნილი 40 წუთი ფრედ (63:63) დამთავრდა. მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვეს კიეველებმა — 72:71.

## შედეგზე მოულოდნელი თამაში იყო

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 75:71 (44:30).

მსაჯები: ა. ჟოლუნძი, მ. დავიდოვი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები — 90:85 (49:37).

თბილისის „ბურევესტნიკმა" უაღრესად მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა კიევის „სტროიტელი". გულშემატკივრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გაბრწყინებული სახეებით იღებდნენ მილოცვებს ბრძოლით მოღლილი, მაგრამ ბედნიერი თბილისელები. მათ მართლაც შეუძლებელი შეძლეს და მაშინ, როცა ყოველი გამარჯვება ასე ძვირად ფასობს, ქულა აართვეს გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, საბჭოთა კალათბურთის აღიარებულ ფავორიტს.

ის, ვინც გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში იყო, ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ „ბურევესტნიკს" შესწევს უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლის უნარი. გულახდილად უნდა ვთქვათ, შედეგზე მოულოდნელი ჩვენთვის ბურევესტნიკელთა თამაში იყო. ისეთი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც „სტროიტელია", მარტო მონდომებით ფონს, რა თქმა უნდა, ვერ გახვალ. მონდომება უმაღლესი ლიგის არც ერთ კოლექტივს არ აკლია, განსაკუთრებით იმათ, ვისაც „ბ" კლასში გადასვლის საშიშროება ემუქრება.

„ბურევესტნიკის" გუშინწინდელი წარმატება, პირველ ყოვლისა, თამაშის სწორი და უშეცდომო ლოგიკის შედეგი გახლდათ. „სტროიტელის" წინაშე თითქოს არ იდგა რთული ამოცანა. „ზონა" მას გარკვეულ პრივილეგიებს უქმნიდა თუნდაც იმიტომ, რომ ამ დღეს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ კოვალენკოც, პოლივოდაცა და ვალტინიც. ამ სამეულის ფიზიკურ უპირატესობას, ადრე თუ გვიან, გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა.

უკრაინელებმა თამაში ჩვეული პრინციპით წარმართეს, მაგრამ მოხდა საოცარი გარდაქმნა. „ბურევესტნიკი" უფრო ძლიერი აღმოჩნდა იქ, სადაც მეტოქე თავს ყველაზე მეტად დაზღვეულად გრძნობდა. „სტროიტელმა" წააგო სწორედ პოზიციური თამაში, წააგო იმიტომ, რომ მეტოქე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ფარზე ბრძოლისთვის. ეს იყო გამარჯვების უმთავრესი მიზეზი, ეს იყო წარმატების ყველაზე საიმედო პირობა, რომელსაც თბილისელებმა ბოლოს და ბოლოს რეალური გამოხატულება მისცეს.

თითქოს პარადოქსულად ჟღერს, რომ გუნდმა უარი თქვა თავის ძირითად საბრძოლო იარაღზე — სწრაფ შეტევაზე, დაჰყვა მეტოქის ნება-სურვილს და მაინც წარმატებას მიაღწია. ეს, მართლაც, ბოლომდე პარადოქსული იქნებოდა, ფარი რომ სტუმრებს დარჩენოდათ გამგებლობაში. მაგრამ, რაკი „სტროიტელმა" დაკარგა თავისი ყველაზე ნაღდი კოზირი, რომელიც პოზიციური თამაშის ძირითად ხერხემალს შეადგენს, უკვე აღარ ჰქონდა აზრი სისწრაფეზე აქცენტის გადატანას. მით უმეტეს, საშუალო მანძილებიდან სროლის სიზუსტემ თბილისელთა მხრივ საკმაოდ მაღალ პროცენტს მიაღწია.

ერთი სიტყვით, ფუნქციები ბურევესტნიკელთა შორის იდეალურად განაწილდა. გლურჯიძემ და ჩხიკვაძემ დირიჟორების როლი ითავეს, ალთაბაევმა, ბიჭიაშვილმა და პულავსკიმ — კალათის გეგმაზომიერი დაბომბვა. ფარზე უმძიმესი ბრძოლის გადატანა ყველას თანაბრად მოუხდა და, მათ შორის, ძიძიგურსაც, რომელმაც ალთაბაევი შეცვალა. საბოლოო ჯამში კი გამოიჭედა გამარჯვება — სასახელო, დამსახურებული და, რაც მთავარია, იმედიანი.

რამდენი ქულა იქნება წლეულს საკონტროლო აუტსაიდერებისთვის, ძნელი სათქმელია, ვინაიდან სულ უმნიშვნელო პროგნოზიც კი შესაძლოა მაცდური გამოდგეს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: „ბურევესტნიკმა" შარშანდელ გრაფიკს გადააჭარბა. წინა ჩემპიონატში 8 ტურის შემდეგ მას 2 ქულა ჰქონდა. მეოთხე ქულა თბილისელებმა მხოლოდ მე-14 ტურში აიღეს, სტუდენტების დღევანდელი მეტოქეები კი შარშანდელი გრაფიკით იბრძვიან. ეს უთუოდ სიმპტომატური ფაქტია, რომელმაც, ვინ იცის, იქნებ განსაზღვროს კიდეც სატურნირო ცხრილის საბოლოო სახე.

**ნ. გუგუშვილი.**



ს უ რ ა თ ზ ე: გ. ბიჭიაშვილი მეტოქის ფარზე იერიშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 28 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 10 | 9 | 1 | 686—585 | 9 |
| ცსკა | 8 | 7 | 1 | 727—557 | 7 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 9 | 5 | 4 | 617—608 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 4 | 4 | 604—589 | 4 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 4 | 3 | 541—543 | 4 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 8 | 4 | 4 | 624—627 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 8 | 4 | 4 | 588—619 | 4 |
| „კალევი" (ტარტუ) | 8 | 3 | 5 | 618—594 | 3 |
| ასკ (კიევი) | 8 | 3 | 5 | 554—581 | 3 |
| ვეფ (რიგა) | 7 | 2 | 5 | 535—588 | 2 |
| ასკ (რიგა) | 7 | 2 | 5 | 470—502 | 2 |
| რტი (მინსკი) | 8 | 1 | 7 | 518—579 | 1 |

## თასის მფლობელები დაწინაურდნენ

დაიწყო მსოფლიო თასის მორიგი გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. ამ შეჯიბრების სტარტები იტალიის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, გფრ-ის, შვეიცარიის, ავსტრიის, კანადის, აშშ-სა და შვეციის 19 ტრასაზე მოეწყობა. თასებისთვის მებრძოლი ქალები და ვაჟები 7-ჯერ იასპარეზებენ სწრაფდაშვებაში, 8-ჯერ — გიგანტურ სლალომში და 9-ჯერ — სპეციალურ სლალომში. ყოველ ტურნირში I-X ადგილებზე გასული სპორტსმენები ერთმანეთში 25-25 ქულას გაინაწილებენ.

ტურნირში, რომელიც 3 თვეს გაგრძელდება, სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იქნება ისეთი ცნობილი ოსტატების ჭიდილი, როგორიც არიან თასის შარშანდელი მფლობელი — ავსტრიელი შრანცი, მისი თანამემამულეები კორდინი, ბლაინერი, ფრანგები დიუვიიარი და რუსელი, მსოფლიო ჩემპიონი, იტალიელი ტოენი, რუსი (შვეიცარია) და სხვანი. ქალთა შორის პირველობის მთავარი პრეტენდენტები ავსტრიელები და ფრანგები იქნებიან. საფრანგეთის გუნდს წლეულს სათავეში ჩაუდგა თასის შარშანდელი მფლობელი ჟაკო.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ახალი დებულებით, თასის გათამაშებაში ყველა ქვეყანას 10-10 სპორტსმენი ვაჟისა და ქალის გამოყვანის უფლება აქვს, ეტაპის შეჯიბრების ორგანიზატორ ქვეყანას კი ამ ეტაპზე დამატებით კიდევ 20 მოთხილამურის გამოყვანა შეუძლია.

გუნდური ტურნირი, როგორც წინათ, ახლაც ქალებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე გათამაშდება. ამას გარდა, საერთო გუნდური ჩათვლაც მოეწყობა.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, თასის წლევანდელი გათამაშების პირველი ეტაპი იტალიის სამთო. კურორტ სესტრიერის მიდამოებში გაიმართა სწრაფდაშვებაში. ქალთა 2200-მეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად დაფარა მაჟიმ (საფრანგეთი), II ადგილზე გავიდა პრიოლი (ავსტრია), III — მირი (საფრანგეთი).

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს შარშანდელ ასპარეზობაში გამარჯვებულებმა — საფრანგეთის მოთხილამურეებმა.

## ოთხი ტრამპლინის ტურნემდე

მსოფლიოს საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები" ენერგიულად ემზადებიან ოთხი ტრამპლინის ტრადიციული საერთაშორისო საახალწლო ტურნირისთვის, რომელიც ყოველი წლის მიჯნაზე იმართება: ფინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნების ტრამპლინებზე ეწყობა საერთაშორისო ტურნირები.

ფინეთში დამთავრდა ამ ქვეყნის „სამი ტრამპლინის ტურნე", რომელშიც სსრ კავშირის, გდრ-ისა და მასპინძელთა საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ისე, როგორც მეორე ეტაპის შეჯიბრება, მესამე ეტაპიც კუოპიოს ტრამპლინზე ჩატარდა. ამჯერად, შეჯიბრების ლიდერი ი. კალინინი წარუმატებლად გამოვიდა. პირველობა მოიგო ლენინგრადელმა ა. ჟევლანოვმა — 235,7 ქულა (ნახტომები — 87,5 და 90 მ). ჰ. კვეკი (გდრ) მეორე ადგილზე გავიდა — 235 (90,5 და 89). სამი ტრამპლინის ჯამში გამარჯვება ჟევლანოვს დარჩა — 703,2 ქულა. მომდევნო ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები ვ. სმირნოვი და ი. კალინინი არიან.

შტრბსკე-პლესოს ტრამპლინი, რომელზედაც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, „მფრინავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო ასპარეზობას მასპინძლობდა. გამარჯვება დაისაკუთრა ტ. პავლიუსიაკმა (პოლონეთი), რომელმაც 239,3 ქულა დააგროვა (ნახტომები — 83,5 და 81 მ).

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო პრაღიდან იუწყება, შპინდლერუვ-მლინის დიდ ტრამპლინზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მასპინძელმა ი. რაშკამ — 216,8 (76,5 და 76,5).

საბჭოთა ორჭიდელები და ტრამპლინიდან მხტომელები კავგოლოვოში ცდიდნენ ძალებს. ორჭიდში საუკეთესო გახლდათ კემეროვოელი ნ. ნოვოვიცინი. ორჭიდის ჯამში მან 406,3 ქულა მოაგროვა.

რედაქტორის მოადგილე

**ზ. ჯაფარიძე.**

ჭადრაკი. 25 დეკემბერი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. 48). დიდოსტატ ე. გუფელდის ლექცია: „პალმა დე მალიორკას საზონათშორისო ტურნირის შთაბეჭდილებები". დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 10647